# ემოციასა და მორალურ განსჯას შორის დამოკიდებულების შესახებ

*ახდენენ თუ არა გავლენას პრობლემასთან დაუკავშირებელი ემოციები*

*მორალურ განსჯაზე*

**ლევან გოგუაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2017**

# აბსტრაქტი

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია ემოციებსა და მორალურ განსჯას შორის დამოკიდებულება. კერძოდ, ახდენენ თუ არა პრობლემასთან დაუკავშირებელი ემოციები ( უარყოფითი; დადებითი) გავლენას მორალურ განსჯაზე. ექსპერიმენტი ჩატარდა ქართულ პოპულაციაში, სამოც სტუდენზე, სქესთა თანაბარი შეფარდებით. ცდის პირები გადანაწილდნენ სამ ჯგუფში. რომელთაგანაც ორი ექსპერიმენტული ჯგუფია, ერთი კი საკონტროლო. ჯგუფებში ემოციური ფონის მასტიმულირებლად გამოიყენებოდა სამი სსხვადასხვა ვიდეო. ექსპერიმენტის I ნაწილში I ჯგუფში იქმნებოდა უარყოფითი ემოციური ფონი, II ჯგუფში - პოზიტიური ემოციური ფონი, III ჯგუფში ცდის პირები ნახულობდნენ ნეიტრალური შინაარსის ვიდეოს. შესაბამისად, არ იქმნებობდა ემოციური ფონი. ექსპერიმენტის II ეტაპზე სამივე ჯგუფის მონაწილეები ეცნობოდნენ ერთსადაიმავე დილემას, შემდეგ კი მორალურად განსჯიდნენ დილემის მთავარ გმირს. მიღებული მონაცემები დამოუკიდებელი t ტესტის საშუალებით ჯგუფების მიხედვით შედარდა ერთმანეთს. შედეგებმა უჩვენა, რომ მორალური განსჯის ჯამური საშუალო ქულები სტატისტიკურად განსხვავებული იყო სამივე ჯგუფის შედარების შემთხვევაში, რაც იძლევა საფუძველს დავასკვნათ - პრობლემასთან დაუკავშირებელი ემოციები გავლენას ახდენენ მორალურ განსჯაზე.



**საკვანძო სიტყვები: მორალი, ემოცია, შემთხვევითი ემოცია, მორალური განსჯა**